ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 4
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები 5
- „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები 6
- „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები 7
- „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ'' დებულებებაში განხორციელებული ცვლილებები 8
- „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები 12

„2025 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 12 დეკემბერს ცვლილება შევიდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1-ელ იანვარს.

ცვლილებით საქმიანობის ლიცენზიების სახეებს დაემატა პიროტექნიკური ნაწარმის წარმოებისა და პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზია. დამატებით, ნებართვათა სახეებს დაემატა პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტისა და პიროტექნიკური ნაწარმის ექსპორტის ნებართვის კატეგორია.

2. „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 12 დეკემბერს ცვლილება შევიდა სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1-ელ იანვარს.

12 დეკემბრის ცვლილებით მოწესრიგდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები. სახელდობრ, სასაქონლო ნიშანი არ დარეგისტრირდება, თუ შესაბამისი სიმბოლო, ან სიმბოლოთა ერთობლიობა მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა ისეთ სიმბოლოს, რომელიც პარიზის კონვენციის 6ter მუხლის საფუძველზე რეგისტრაციას არ ექვემდებარება, და არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური უწყების ნებართვა მის გამოყენებაზე, ან მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა საქართველოს, ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ/ისტორიულ დასახელებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა მის გამოყენებაზე.

აგრეთვე, ცვლილება შეეხო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლებით განსაზღვრულ რიგ დებულებებს. ცვლილების თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ დარეგისტრირდება, თუ იგი შეიცავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პირის სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს ან პორტრეტს და მის გამოყენებაზე არ არსებობს ამ პირის ან მისი მემკვიდრის თანხმობა, ხოლო თუ იგი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებაა – საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა, აგრეთვე, თუ სასაქონლო ნიშანი შეიცავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან მუზეუმის სრულ, ან შემოკლებულ დასახელებას ან გამოსახულებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობა მის გამოყენებაზე.

3. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა 2024 წლის 13

დეკემბერს, რომლითაც რამდენიმე ახალი ჩანაწერი გაჩნდა სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მომწესრიგებელ ნორმებში. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 29 მარტიდან.

კერძოდ, ახალი მოწესრიგების თანახმად, ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით, სამეწარმეო საზოგადოებას კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციის შემსრულებელი საწარმოს შემთხვევაში კი - სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა.

იმ სამეწარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის, ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს.

სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის სექტორში წარმოებისა და ვაჭრობის განმახორციელებელ საწარმოში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრთან მიმართებით დაცული უნდა იყოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს

წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა.

დაბოლოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციის შემსრულებელ საწარმოში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა. ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრთან მიმართებით დაცული უნდა იყოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს.

4. *„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები*

2024 წლის 13 დეკემბერს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომელიც ამავე თარიღზე შევიდა ძალაში.

2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება კანონი, რომელიც ეხება ცვლილებებს - სამაუწყებლო რეკლამასა და სპონსორობას. აღნიშნული ცვლილებით სამაუწყებლო რეკლამისა და სპონსორობის საკითხები დარეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო რეკლამისადმი ზოგადი მოთხოვნები, ალკოჰოლიანი სასმლის, სექსუალური ხასიათის პროდუქციის, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, ადამიანის ორგანოს, ქსოვილისა და უჯრედის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის, ადამიანის ორგანოს დონაციის, აგრეთვე ადამიანის ორგანოს გადანერგვის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის, აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორისა და ბინგოს ორგანიზატორის, ფარმაცევტული პროდუქტის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების, იარაღისა და ფასიანი ქაღალდების რეკლამის საკითხები, აგრეთვე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა დაცვის საკითხები დარეგულირდება „რეკლამის შესახებ“ კანონით.

ამასთან, 2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან აკრძალული იქნება ადამიანის ორგანოს, ქსოვილისა და უჯრედის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის, ადამიანის ორგანოს დონაციის, აგრეთვე ადამიანის ორგანოს გადანერგვის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის რეკლამა, გარდა „ადამიანის ორგანოთა

გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებითა და „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებებისა, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სოციალური რეკლამის საშუალებითაც.

5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 13 დეკემბრიდან შევიდა ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდა იმავე თარიღზე.

2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება ცვლილება, რომლის შესაბამისადაც აკრძალულია ადამიანის ორგანოს, ქსოვილისა და უჯრედის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის, ადამიანის ორგანოს დონაციის, აგრეთვე ადამიანის ორგანოს გადანერგვის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის რეკლამა, გარდა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებითა და „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებებისა, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სოციალური რეკლამის საშუალებითაც.

6. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ნორმატიულ აქტში განხორციელდა ცვლილებები 2024 წლის 13 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდა იმავე თარიღზე.

2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან:

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში დონორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია რეციპიენტს, დონორს ან ცოცხალი დონაციის კომისიას.

ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს დონორის ორგანოს მოპოვების მიზანი, დონორის პირადი და ოჯახური მდგომარეობა და დონორსა და რეციპიენტს შორის არსებული ნათესაური კავშირის ან ახლო პირადი ურთიერთობის (ემოციური კავშირის) ხასიათი.

7. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, 2024 წლის 13 დეკემბერს. კანონი ამოქმედდა იმავე თარიღზე.

ცვლილების მიხედვით, შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილე პირებს ეკრძალებათ:

- იქონიონ ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება, ცივი იარაღი ან პიროტექნიკური ნაწარმი.
- იქონიონ ლაზერული გამოსხივების ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას ან/და მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას.
- სახის ნიღბით, ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა.

8. „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 14 ნოემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის №4 დადგენილებაში „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ამოქმედდა 2024 წლის 14 ნოემბერს.

ახალი რედაქციის შესაბამისად, პირველი კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია დამატებით მოიცავს:

- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საკრედიტო რეესტრის მონაცემებს (გარდა გამონაკლისებისა);
- ეროვნულ ბანკში საზედამხედველო მიზნებისთვის ბანკებიდან/მიკრობანკებიდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას (გარდა საჯარო მონაცემებისა);
- ბანკების/მიკრობანკების შემოწმებასთან დაკავშირებულ ელექტრონულ კორესპონდენციასა და სამუშაო დოკუმენტაციას.

მეორე კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაციას დაემატა ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. ამ კატეგორიაში შედის:

- მომხმარებელთა პრეტენზიების თაობაზე ყოველთვიური ანგარიშგება;
- ლიცენზირებასთან/მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან და ადმინისტრატორის დანიშვნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ბალანსები მონეტარული სტატისტიკისთვის;
- ეროვნული ბანკის შიდა მოხმარებისთვის მომზადებული ანალიტიკური ანგარიშები;

- სტრესტესტის მოდელის შედეგები;
- საკრედიტო პირობების კითხვარის ინდივიდუალური პასუხები;
- ბანკებისა და მიკრობანკების გაჯანსაღებისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გეგმები.

9. „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 30 დეკემბერს ცვლილება შევიდა „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №526 დადგენილებაში. დადგენილება ამოქმედდა 2025 წლის 1-ლი იანვრიდან და დადგენილების მოქმედება გავრცელდება იმ შეთანხმებებზე, რომლებიც დაიდება 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

პირველ რიგში შეიცვალა სათაური, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ დადგენილება გახდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გამონაკლისების შესახებ დადგენილება.
ტერმინთა განმარტებაში დაემატა შემდეგი:

კვლევა და განვითარება – საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საქონლის, ტექნოლოგიების ან პროცესების შესახებ ნოუ-ჰაუს მიღებას, თეორიულ ანალიზს, სისტემატურ შესწავლას ან ექსპერიმენტების ჩატარებას, მათ შორის, საპილოტე და საჩვენებელ წარმოებას, საქონლის ან პროცესების ტექნიკურ გამოცდას, საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას საჩვენებელი მასშტაბით და მიღებულ შედეგებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მოპოვებას.

კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება – შეთანხმება, რომელიც დადებულია ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის და რომელიც მოიცავს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას.

სახელშეკრულებო საქონლის ან ტექნოლოგიების ერთობლივი კვლევა და განვითარება, რომელიც მოიცავს ან არ მოიცავს მისი შედეგების ერთობლივ გამოყენება.

სახელშეკრულებო საქონლის, ან ტექნოლოგიების დაკვეთით განხორციელებული კვლევა და განვითარება, რომელიც მოიცავს, ან არ მოიცავს მისი შედეგების ერთობლივ გამოყენება.
კანონში მოხსენებული წლიური ბრუნვა შეიცვალა წლიური ერთობლივი შემოსავლით, რამაც გამოიწვია შემდეგი ცვლილება:

მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისით სარგებლობა ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წარმოადგენენ დისტრიბუტორებს და, ამავდროულად, თითოეული მათგანის წლიური ერთობლივი შემოსავალი (ურთიერთდამოკიდებულ

პირებთან ერთად) ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 15 000 000 ლარს და ასევე შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები არ არიან კონკურენტი ეკონომიკური აგენტები კანონის შესაბამისად.

10. „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 24 ოქტომბერს ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში, რომელიც შეეხება „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესებსა და პირობებს.

ცვლილება ეხება სტაციონარული დაწესებულების/სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარის ნებართვის მფლობელ დაწესებულებებს, რომლებსაც 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არ აქვთ მოპოვებული შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მათ ევალებათ, 2025 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობისა და სხვა, შესაბამისი ინსტრუქციების შესაბამისობა - სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებებთან.

მათ აგრეთვე ევალებათ, 2025 წლის 1 მაისამდე უზრუნველყონ:

ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემებისა და ელექტრომოწყობილობებისა და ელექტროქსელების მდგომარეობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან;

2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ:

ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და გათბობის სისტემების მდგომარეობის, აფეთქება-ხანძარსაშიშ ნივთიერებათა შენახვის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შენობა-ნაგებობის ობიექტების შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ სხვა ნორმებთან.
სტაციონარული დაწესებულების/ სარეაბილიტაციო - გამაჯანსაღებელი სტაციონარის ნებართვის მფლობელ დაწესებულებებს, რომლებსაც 2024 წლის 1

ნოემბრის მდგომარეობით არ აქვთ მოპოვებული შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამავე ცვლილებით დადგენილ ვადებში შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისთანავე უნდა უზრუნველყონ აღნიშნულის შესახებ სააგენტოს წერილობითი ინფორმირება და 2025 წლის 1 სექტემბრამდე მიმართონ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

ცვლილება აგრეთვე შეეხო საერთო სანებართვო პირობების ჩამონათვალს, რომლის შესაბამისადაც, პირობებს დაემატა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა, რის ფარგლებშიც ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა ნებართვის გამცემს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ან/და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 (ორი) წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია აღნიშნული პირობა დააკმაყოფილოს 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ამასთანავე, 2024 წლის 1 ნოემბრისთვის, ნებართვის მფლობელი სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, ნებართვის გამცემს 2025 წლის 31 დეკემბრამდე წარუდგინოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აგრეთვე, ცვლილება შევიდა სარეაბილიტაციო - გამაჯანსაღებელი სტაციონარის სანებართვო პირობების მომწესრიგებელ წესებში, რის შესაბამისადაც სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სერვისის / დეპარტამენტის სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია სტაციონარული დაწესებულების საევაკუაციო გასასვლელით სარგებლობა, თუ შენობა-ნაგებობის დაგეგმარება იძლევა ამის საშუალებას.

ახალი მოწესრიგების შესაბამისად, ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა ნებართვის გამცემს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 (ორი) წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად.

ამავე დადგენილებაში 2024 წლის 30 დეკემბერს განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებმაც მოაწესრიგა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სალიცენზიო პირობები. სახელდობრ:

- 2026 წლის 1 იანვრიდან სასწრაფო დახმარების ლიცენზიის მისაღებად ან სერვისისთვის გამოყენებული ტრანსპორტის გარბენი არ უნდა აღემატებოდეს 400,000 კმ-ს.
- 2024 წლის 1 იანვრიდან ლიცენზიის მისაღებად ავტომობილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 წლისა და გავლილი უნდა ჰქონდეს ტექინსპექტირება ბოლო 30 დღის განმავლობაში.
- 2025 წლის 1 იანვრიდან ეს მოთხოვნა გამკაცრდება – ავტომობილი უნდა იყოს არაუმეტეს 3 წლისა და ასევე ტექნიკურად ინსპექტირებული ბოლო 30 დღის განმავლობაში.
- 2024 წლის 1 იანვრიდან ლიცენზიანტების ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ უნდა აღემატებოდეს 12 წლის ასაკს.
- 2026 წლის 1 იანვრიდან ეს ზღვარი მცირდება 10 წლამდე, ხოლო რეზერვში მყოფი მანქანებისთვის – 12 წლამდე.
- 2025 წლის 1 იანვრიდან სასწრაფო დახმარების ადგილზე აღმოჩენისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილები ლიცენზიანტის ავტოპარკის მაქსიმუმ 60%-ს უნდა შეადგენდეს.

აგრეთვე, ცვლილება შევიდა ქიმიოთერაპიული მომსახურების მიმწოდებელთათვის სანებართვო პირობებში, რის შესაბამისადაც, ქიმიოთერაპიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების/ერთეულის ყველა ექიმი-ონკოლოგი უნდა მონაწილეობდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ონკოლოგიური მომსახურების მიმართულებით და ყოველწლიურად უნდა აგროვებდეს 20 (ოცი) უსგ ქულას. ამასთანავე, 2025 წელს და შემდეგ ყოველწლიურად შეფასებას ექვემდებარება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გავლილი უსგ პროგრამები სრულად.

2024 წელს მოპოვებული ქულების შემოწმება განხორციელდება 2025 წლის 1 აპრილიდან. 2025 წლის 1 აპრილამდე შესაძლებელია 2024 წელს მოსაპოვებელი ქულების შევსება, თუმცა აღნიშნული ქულები არ იქნება ჩათვლილი 2025 წელს მოსაპოვებელი ქულების ჯამურ რაოდენობაში.

2026 წლის 1 სექტემბრიდან ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების/ერთეულების ყველა ექიმი

ფსიქიატრი უნდა იყოს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამაში ჩართული და ყოველწლიურად აგროვებდეს 20 (ოცი) უპგ ქულას ფსიქიატრიული მდგომარეობების მართვის მიმართულებით (დეესკალაციის ტექნიკები, ფსიქიკური აშლილობათა მართვა, პაციენტის უფლებები).

2026 წლის 1 სექტემბრიდან ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების/ერთეულების ყველა ექთანმა 3 (სამი) წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს სასწავლო კურსი გადაუდებელი მდგომარეობების მართვის, დეესკალაციის ტექნიკებისა და პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ (ბავშვთა პაციენტების შემთხვევაში – ბავშვთა გადაუდებელი მდგომარეობების მართვაზე).

ცვლილება აგრეთვე შეეხო ქირურგიული მომსახურების მიმწოდებელთათვის საერთო სანებართვო პირობებს, რის შესაბამისადაც ქირურგიული ერთეულის ყველა ექიმი-სპეციალისტი უნდა მონაწილეობდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში საქმიანობის პროფილის შესაბამისად და ყოველწლიურად აგროვებდეს არანაკლებ 30 (ოცდაათი) უსგ ქულას. 2025 წელს და შემდეგ ყოველწლიურად შეფასებას ექვემდებარება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გავლილი უსგ პროგრამები სრულად.
რეანიმაციული მომსახურების შემთხვევაში, ექიმი ანესთეზიოლოგ - რეანიმატოლოგი უნდა მონაწილეობდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში კრიტიკული მდგომარეობების მართვისა და თანამედროვე ანესთეზიოლოგიური მიდგომების მიმართულებით და ყოველწლიურად უნდა აგროვებდეს 30 (ოცდაათი) უსგ ქულას. 2025 წელს და შემდეგ ყოველწლიურად შეფასებას ექვემდებარება წინა კალენდარული წლის განმავლობაში გავლილი უსგ პროგრამები სრულად.

დაბოლოს, 2024 წლის 14 იანვრის ცვლილებით, ცვლილება შეეხო სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების მომწესრიგებელ დებულებას.

ცვლილების შესაბამისად, ქვეყანაში სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული სიტუაციის ეფექტიანად მართვისთვის საჭირო ღონისძიებების (მზაობა, პრევენცია, კონტროლი, რეაგირება) განხორციელებაში შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, სტაციონარული ნებართვის მქონე დაწესებულებებს (დაწესებულებების ნაწილს) შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით, მინისტრის ბრძანებით დაუწესდეთ ამ დადგენილებით განსაზღვრულისგან განსხვავებული, ან/და საგამონაკლისო რეგულაციები ან/და ისინი ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლდნენ ამავე დადგენილებით შესაბამისი საქმიანობისათვის განსაზღვრული მოთხოვნებისაგან, ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილი წესით, პირობებითა და ვადის განმავლობაში.

11. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 06 დეკემბერს ცვლილება შევიდა „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში.

ცვლილების თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – აწარმოე საქართველოში და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიზნით დასადებ ხელშეკრულებებზე, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საქართველოს საპრომოციო აქტივობების ორგანიზების პროცესში ან/და განხორციელების მიზნით დასადებ ხელშეკრულებებზე, ასევე, შპს „სთარინგ ჯორჯიას“ მიერ კონცერტებისა და მუსიკალური ფესტივალების ორგანიზების პროცესში ან/და ჩატარების მიზნით დასადებ ხელშეკრულებებზე არ ვრცელდება უცხოელ კონტრაჰენტებთან საჯარო-სამართლებრივი მიზნების გასატარებლად გასაფორმებელ კერძო ხასიათის ხელშეკრულებებთან მიმართებით შემდეგი შეზღუდვების დაცვის ვალდებულებები:

- ხელშეკრულების პროექტის ტექსტში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მითითების შემთხვევაში ხელშეკრულების პროექტი შესაბამისი უწყებების დასკვნებთან ერთად განსახილველად უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების მიზნით;
- ხელშეკრულების მოშლის განზრახვისას მის მოშლამდე უნდა არსებობდეს იურიდიული დასკვნა ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების თაობაზე;
- ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების შეფასების თაობაზე იურიდიული დასკვნა უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, მისი შემდგომი შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28
ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge
www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS